ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2442233

ნომერი: AR1376274

თარიღი : 05.02.2016

გაცემის თარიღი : 25.02.2016

გაცნობის თარიღი : 25.02.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მუხაძე , N 14 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი იმერლიშვილი პ/ნ 01008011382
- თბილისი კ.კეკელიძის ქ. N 25 ბ. 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 10/10/2014 წლის №1535614 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 05/02/2016 წლის AR1376274 განცხადებით მომართა ირაკლი იმერლიშვილმა და ამავე სამსახურის 10/10/2014 წლის №1535614

ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება მოითხოვა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 10/10/2014 წლის №1535614 ბრძანებით ქ. თბილისში, მუხაძის ქ. N14–ში თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.14.11.024.053) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 11 ოქტომბრიდან 2016 წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით.
განმცხადებელის განმარტებით, სამსახურის 10/10/2014 წლის №1535614 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომაა, კერძოდ, დამკვეთის გრაფაში დამკვეთად შ.პ.ს. "კერა +"– ის ნაცვლად მიწის ნაკვეთის ყველა მესაკუთრე, – მანანა კვირიკაშვილი, რევაზ მაჭარაძე, ნატალია ცინცაძე, ნათია ბუკია, გიორგი ცინცაძე, არის მითითებული.
განმცხადებლისვე განმარტებით, მესაკუთრეები თანხმობას აცხადებდნენ შ.პ.ს. "კერა +"–ს მიერ საკუთარი სახელით არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით.
წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია სამსახურის 10/10/2014 წლის №1535614 ბრძანებაში დამკვეთად მესაკუთრეთა – მანანა კვირიკაშვილის, რევაზ მაჭარაძის, ნატალია ცინცაძის, ნათია ბუკიასა და გიორგი ცინცაძის ნაცვლად შ.პ.ს. "კერა +"–ის დაფიქსირება.
სამსახურმა წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხ. რეგისტრაცია: N882015212735, მომზ. თარიღი: 24/04/2015 17:06:27) თანახმად, ქ. თბილისში, მუხაძის ქ. N14–ში მდებარე N01.14.11.024.053 საკადასტრო ერთეული წარმოადგენს მანანა კვირიკაშვილის, რევაზ მაჭარაძის, ნატალია ცინცაძის, ნათია ბუკიას, გიორგი ცინცაძისა და შ.პ.ს. "კერა +“ –ს საკუთრებას. ამასთან, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას სამსახურში წარმოდგენილი სანოტარო აქტის მიხედვით მესაკუთრეები თანხმობას აცხადებდნენ შ.პ.ს. "კერა +"–ს მიერ საკუთარი სახელით არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 10/10/2014 წლის №1535614 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 10/10/2014 წლის №1535614 ბრძანებაში და დამკვეთად მანანა კვირიკაშვილის, რევაზ მაჭარაძის, ნატალია ცინცაძის, ნათია ბუკიასა და გიორგი ცინცაძის ნაცვლად დაფიქსირდეს შ.პ.ს. "კერა +".
სამსახურის 10/10/2014 წლის №1535614 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 10/10/2014 წლის №1535614 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7),